<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების
შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 107-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ^{2}“ ქვეპუნქტი:

„უ^{2}) საპარლამენტო გამჭვირვალობის, სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ამ რეგლამენტის 283^{1} მუხლის შესაბამისად ქმნის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს, ამტკიცებს საბჭოს დებულებას და შემადგენლობას;“.

2. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 283^{1} მუხლი:

„მუხლი 283^{1}

1. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო იქმნება, საბჭოს დებულება და შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულებას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. აღნიშნული დებულებით განისაზღვრება საბჭოს უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მუშაობის ორგანიზაციული და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის საკითხები.

2. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შედგება საქართველოს პარლამენტში არსებული ფრაქციების თითო წარმომადგენლისაგან და იმ პარლამენტის წევრისაგან, რომელიც არ არ არის გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრობის კანდიდატს ფრაქციის თავმჯდომარე წერილობით წარუდგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ხოლო ის პარლამენტის წევრები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში საბჭოს წევრობის კანდიდატს წარადგენენ ურთიერთშეთანხმებით. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შემადგენლობაში შესაძლებელია კვოტების დათმობა უმრავლესობაში გაერთიანებულ ფრაქციათა შორის,

აგრეთვე უმცირესობაში გაერთიანებულ ფრაქციათა შორის. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თანამდებობრივად არის საბჭოს წევრი.

3. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი